სანაპიროს თასი - დინამოელებს

როგორც ქართველმა გულშემატკივრებმა იციან, თბილისის "დინამოს" ფეხბურთელთა გუნდი საკავშირო ჩემპიონატის არდადაგების დღეებში რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში იმყოფებოდა და ორ ტურნირში მიიღო მონაწილეობა. ქართველი დინამოელები ბუქარესტში გამარჯვების შემდეგ, რუმინეთის სხვა ქალაქ - კონსტანცაში წარსდგნენ - "სანაპიროს თასის" გათამაშებაში. აქ მათთან ერთად ამ საპატიო პრიზისათვის იბრძოდნენ: ადგილობრივი "კონსტანცას" გუნდი, გდრ-ს "მაგდებურგი" და ამ ჩემპიონატში მე-5 ადგილზე მყოფი "სპორტულ სტუდენტიასი".

თბილისელებმა პირველ მატჩში ანგარიშით 2:1 სძლიეს "კონსტანცას". გამარჯვებულთაგან ბურთები დარასელიამ და ჟვანიამ გაიტანეს. მომდევნო შეხვედრა კი "მაგდებურგთან" ფრედ - 0:0 დამთავრდა. პენალტების შედეგად ქართველმა ფეხბურთელებმა გაიმარჯვეს და ფინალში გავიდნენ. აქ ისინი "სპორტულ სტუდენტიასს" უნდა შეხვედროდნენ. ამ დასკვნით მატჩის წინ უძღოდა შეხვედრა მესამე ადგილისათვის - "კონსტანცას" და "მაგდებურგს" შორის, სადაც ანგარიშით 4:1 გამარჯვება რუმონელებს დარჩათ.

"დინამოსა" და "სპორტულ სტუდენტიასის" ფინალური ორთაბრძოლის ძირითადმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა - 1:1 (დინამოელთაგან გოლი დარასელიას ეკუთვნის). პენალტების სერია კვლავ ზუსტად შეასრულეს ქართველმა ფეხბურთელებმა - 7:6. ეს კი გამარჯვებასა და თასის მოპოვებას ნიშნავდა.

"ლელო", 24.08.80

.